№ 28
თებერვლის 4, სამშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 28
თებერვლის 4, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თებერვლიდან წლის ბოლომდე
გაზ. „ივერია"
ღირს 9 მანეთი და 50 კაპ.

5 თებერვალს, ოთხშაბათს,
**სამეგრელოს უგანათ. თავადის ნიკოლოზ დავითის ძის**
დაკრძალვის დღეს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, განსვენებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.
(2—6.—1)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

## კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **ბეჭნეუბა მაკაროვისა**. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლღის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები იყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნაწილად მსყიდველს და მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე მიუტანს.

**ღვინო იყიდება:**

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. ღობრინსკისა, ტელეფ. № 595.
დუქ. № 2, თავ. ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ ტელეფ. № 210
დუქ. № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კავკასიის ყველ. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაჰლევისა, მანდენისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიებში. (25—6.—2)

## სამკერვალო
ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსის შესაკერად
**უძვირესი ხელ-მისაწვდენ ფასად.**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

**აგრეთვე მიიღება შესაკერად**
**კაბა-ანაფორა**
და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

აბრეშუმის ჭიის თესლი
## ხ. ს. ხრისტოდულიდისა.

ფირმა მისი არსებობს დიდის ხნიდგან და ცნობილია, როგორც საუკეთესო: საბერძნეთში, სათათრეთში, სპარსეთში და კავკასიაში. ყიდვა შეიძლება **მხოლოდ 15 თებერვლამდე** ბ-ნ ხ. ს. ხრისტოდულთან: სასტუმრო „კავკაზ"-ში, № 14, საიმპ. კავკ. სასოფ.-სამეურნეო საზ. კანცელარიაში და ფრანციულ კანტორაში, № 127 თამამშოვის ქარვასლაში. (7—26—3)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
## სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ე ქ ი მ ი
## ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
**გედევანიშვილისა**

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი: 9—10.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

**კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. ზ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

**ზრ. ვ. სოგოლევსკი**—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო
**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ძ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფიბანი.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**ნ. ს. ლუზეცკი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი, 4 თებერვალი

მკითხველს მოეხსენება, რომ ამ ხუთის წლის წინად თავადმა ზაქარია ერისთავმა ქართველ თავად-აზნაურობას შემდეგი წინადადება მისცა: მე მზადა ვარ მთელი ჩემი ოძისის მამული შევსწირო თავად-აზნაურობას, თუ იგი პირობას მომცემს, რომ ამ მამულში დააარსებს საშუალო სამეურნეო სასწავლებელსაო. თავად-აზნაურობამ დიდი მადლობა გადაუხადა უხვს შემომწირველსა, მაგრამ მოახსენა: საშუალო სასწავლებლის დაარსების აღთქმას ვერ მოგცემთ, რადგანაც მისი შენახვა ითხოვს წლიურად დიდს ფულს, რომელიც თავად-აზნაურობას არა აქვსო. დაბალის სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას-კი დაუყონებლივ იკისრებს თავად-აზნაურობა და იმედია ჩინებულად მოაწყობს, რადგანაც მამულის წლიურს შემოსავალს, რომელიც უდრის 3000 მანეთსა, თავად-აზნაურობას შეუძლიან მიუმატოს ამდენივე თავისი სახსრიდგან და სავსებით უზრუნველ ჰყოს სასწავლებლის არსებობა და აყვავებაო. თუ შემდეგში თავად-აზნაურობას აღმოუჩნდება უფრო მეტი ნივთიერი სახსარი, დიდის სიამოვნებით გადააკეთებს დაბალს სკოლას საშუალო სამეურნეო სასწავლებლადაო.

კარგი, ჩინებული პასუხი მიიღო თავადმა ერისთავმა; მაგრამ, წარმოიდგინეთ, იწყინა და გულნატკენმა თავად-აზნაურობისაგან, თავ. ერისთავმა მიჰმართა სამინისტროსა. ხოლო ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ სამინისტრო ულტიმატუმბს არვისგან არ იღებს; და ამიტომ ამანაც უარი შემოუთვალა შემწირველს: შესაწირავს ვერ მივიღებ მაგ პირობითაო. დასძინა მხოლოდ, რომ მამულს გამოვიყენებთ სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად ხალხშიო, და სხვას არაფერზედ დავხარჯავ მისს შემოსავალსაო.

მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ თავ. ერისთავი მოიქცეოდა ისე, როგორც მოიქცა ოცის წლის წინად ბ-ნი ილია წინამძღვარიშვილი- აიღებდა და დაარსებდა დაბალს სამეურნეო სასწავლებელს თავისს მამულში იმავე ჩინებულ პროგრამით და გეგმით, რომელიც ამშვენებს წინამძღვარიანთკარის სკოლას. დააარსებდა კერძო სასწავლებელს, და იქნებოდა მისი გამგე და ბატონი პირადად თვითონ. ასეთს სკოლას თავად-აზნაურობა დიდი სიამოვნებით აღმოუჩენდა ყოველ-წლიურს შემწეობას, როგორც უჩენს წინამძღვარიანთ კარის სკოლასა.

მაგრამ თავ. ერისთავი ასე არ მოიქცა. დასთანხმდა სამინისტროს წინადადებას, თუმცა სამინისტრო ნაკლებს ჰპირდებოდა, ვიდრე თავად-აზნაურობა. და აი, რა ნაყოფი მოიტანა მისმა საქციელმა:

სამინისტრომ ვერ დაინახა შესაძლებლად თვით დაბალის სამეურნეო სასწავლებლის დაარსება ოძისის მამულში და საკმარისად სცნო გამართოს აქ მომავალ სამოსწავლო წლიდგან პრაქტიკული კურსი მევენახობისა და ბაღოსნობისა, ვინც მოისურვებს ნასწავლის მუშის სახელის მოპოებას.

არც ეს არის უსარგებლო დაწესებულება, თუმცა გაშორებით ნაკლებს სიკეთეს მოუტანს ჩვენს მხარეს, ვიდრე მოუტანდა დაბალი სამეურნეო სასწავლებელი; მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ ეს მცირე სიკეთეც მიუწდომელი იქმნება ღარიბ ქართველითათვის ღარიბთათვის - მეთქი, მოგახსენებთ, იმის გამო, რომ ამისთანა სკოლას მიჰმართავს მხოლოდ ხელმოკლე, რომელიც მოკლებულია შეძლებას, რომელსამე რიგიანს სასწავლებელში შევიდეს, ხოლო ღარიბს ქართველს არ შეუძლიან ისე მოემზადოს, რომ ის ამ სასწავლებელში შევიდეს. საქმე ის არის რომ ამ სკოლაში შემსვლელმა უნდა კარგად იცოდეს რუსული წერა-კითხვა და რუსული ენა იძეენად ესმოდეს, რომ შეეძლოს შეგნებით მოისმინოს ყოველ-გვარი ახსნა და განმარტება ამ ენაზე. აქ არ მოეთხოვებაო ცოდნა ქართულის წერა-კითხვისა და არც ქართულის მეტყველებისა, რადგანაც სკოლა სამინისტროა.

ეხლა ვიკითხოთ: რომელი ღარიბი ქართველი ეღირსება ამგვარს მომზადებასა? ამისთანა მომზადება დიდს ხანსაც თხოულობს და დიდს ხარჯსაცა, რაიცა შეუძლიან მხოლოდ შეძლებულსა; შეძლებული-კი მუშების სკოლას არ მიჰმართავს, ფარსაგს სასწავლებელში სცდილობს მოექცეს.

ამ სახით, ეს პრაქტიკული სკოლა ქართველ გლეხობისათვის მიუწდომელი იქმნება, ხოლო თავად-აზნაურობა გვერდს აუქცევს, როგორც წმინდა საგლეხო დაწესებულებასა...

ეს ახალი დაწესებულება მისაწდომია და ხელ-საყრელი უმთავრესად მხოლოდ დაბალის წოდების რუსებისათვის, რომელთა საკმარისს კონტინგენტს ალბათ იშოვნის ახლად დაბადებული სკოლა.

იშოვნის იმ რუსთა შორის, რომელნიც კავკასიაში არიან გადმოსახლებულნი და იმათ შორისაც, რომელნიც სხვა-და-სხვა სასწავლებლიდან არიან დათხოვნილნი ან უნიჭობისა, ან სხვა რამ მიზეზისა გამო.

## ტფილისი

✦ ჯერ საღამოის შვიდის ნახევარიც არ იყო, ტფილისის რკინის გზის სადგური გაიჭედა თითქმის მთლად ქართველთა ხალხისაგან, რომელიც მოელოდებოდა ეგრის-ოდიშის მთავრად ნამყოფის უგანათლებულესის თავადის ნიკოლოოზ დავითის ძის მინგრელსკის ცხედარსა. ხალხის დენა ისეთი ძლიერი იყო, სადგურის ჟანდარმთა პოლიცია ვერ ასდიოდა წეს-რიგის ჩამოგდებასა. სადგურის სამეფო დარბაზში თავმოყრილი იყვნენ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილი თავად-აზნაურობით, განსვენებულის ნათესავები; მათ შორის ნაპოლეონ პრინცი და სამღვდელოების კრებული, არქიმანდრიტის მამა ალადაშვილის მოთავეობით და ბ-ნ მონადირიშვილის მგალობელ ქალ-ვაჟთა გუნდითა. შვიდი საათი იქმნებოდა, სადღესასწაულოდ შემოსილი სამღვდელოება გამოვიდა სამეფო დარბაზიდგან კელაპტრებითა და ხალხსაც დაურიგლა სანთლები. სანთლების ლაპლაპი და ჟივილ-ხივილი ხალხის გულის ხმას თითქო ბანს აძლევდა აღდგომის სადიდებლად.

შესრულდა 7 ს. და 18 წ, და კიდეც მოდგა სამგლოვიარო მატარებელი. გაიხსნა ვაგონი და გამოჩნდა კუბოცა თეთრის დიბით მოსილი. ვიდრე თავად-აზნაურობა გამოვიდოდა, გამოიტანეს გვირგვინები, რომელთა შორის ყურადღებას იქცევდენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოებისა და თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან მიძღვნილები. განსვენებულის ერთად-ერთი ვაჟი, უგანათლებულესი თავადი ნიკოლოოზ თ. ვასილ მაჩაბელმა შემოიყვანა დარბაზში, სადაც უცდიდა თავად-აზნაურობა, მიეშვიდობენ და გაეცვნენ ერთმანერთს. თავადი ნიკოლოოზ ჯერ ახალგაზდა ყმაწვილია და ძლიერ ჩამოგავს მამასა. გამოვიდა თუ არა პლატფორმაზე, პროტოდიაკონმა მამა კარგარეთელმა თავისის ზარიანის ხმითა დაიწყო პანაშვიდი და გაისმა მგალობელთა სამწუხარო კილოცა, რომელსაც ხანდახან აყრუებდა ხალხის სიმრავლის ხმაურობა. პანაშვიდი დიდის ხნის გათავებული იყო, რომ ხალხი ჯერ კიდევ ირეოდა. რომელი კუთხის ქართველი არ იყო აქ. ყველას თავი მოეყარა დიდსა და მცირესა, უკანასკნელის პატივის საცემლად ქართველთა უკანასკნელის მთავრისთვის, რომელმაც, დანარჩენ საქართველოს მეფეთა და მთავართა მაგალითისამებრ, ნებით აიღო ხელი მთავრობაზე და შეუერთდა რუსეთსა. იმედია, ახალგაზდა ნიკოლოოზმა დააფასოს ის სიყვარული და პატივის ცემა, რომელიც ქართველებისაგან სიცოცხლეში ჰქონდა განსვენებულ მამა მისს და არც სიკვდილის შემდეგ მოჰკლებია.

✦ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნულია საზოგადოების წევრთა კრება.

✦ ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ: გ. ი. ცერცვაძე (114 თ. 33 შ.), ტ-დი ი. ნიჟარაძე (101 თ. 45 შ.). ბ. პ. მოსეშვილი (95 თ. 53 შ.) და არისტიდეს ავგერინო (86 თ. 60 შ.).

მათ კანდიდატებად: ა. მ. კრინიცკი (8[illegible] თ. 4 შ.), ფ. კიკნაძე (84 თ. 5 შ.) და ანემ. წერეთელი (75 თ. 10 შ.).

ვაგონების და ბაქნების განმანაწილებელ კომიტეტის წევრებად: ჯ. დ. იაშვილი (85 თ. 4 შ.), თ-დი ი. აბაშიძე (83 თ. 5 შ.), თ-დი პ. აბაშიძე (82 თ. 7 შ.) და ილ. კაკაბაძე (76 თ. 13 შ.).

მათ კანდიდატებად: ბ-ნი ქადაგიძე (84 თ. 5 შ.), ნ. ბეჟანიშვილი (81 თ. 8 შ.) და [illegible]რატიანი 79 თ. 10 შ.).

სარევიზიო კომისიის წევრებად: ბ-ნნი [illegible]სვანიძე (85 თ. 4 შ.), ბ. იანოპულო (84 თ. 5 შ.) და ნიკიფ. ყიფშიძე (51 თ. 1 შ.).

მათ კანდიდატებად: ბ-ნნი ი. მხეიძე ([illegible] თ. 1 შ.) და ალ. წერეთელი (59 თ. 2 შ.)

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უკანასკნელ თავის კრებაზედ დაადგინა: ეთხოვოს მთავრობას, რომ საზღვარგარეთიდგან შემოტანილი სეტყვის გასაფანტი ზარბაზნები განთავისუფლებულ იყოს ბაჟისაგანაო.

◆ გუშინწინ ტფილისში ჩამოვიდა ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი, რომელიც მიემგზავრება საზღვარ-გარედ საექიმოდ. შესაძლოა მომავალ ხუთშაბათს მესხიშვილის მონაწილეობით გაიმართოს წარმოდგენა. ამავე წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად ქუთაისიდგან მოწვეულ იქნებიან ჩხეიძისა და აბაშიძის ქალები.

◆ ქალაქის გამგეობას უკვე შეუმუშავებია სავალდებულო წესდება სავეტერინარო ზედამხედველობისა ბეითალებისათვის და მასთანავე წესდება რძისა, კარაქისა და რძისაგან მომზადებულ სანოვაგეთა გასაშინჯავად ხელმძღვანელობისათვის.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა შემატყობინეთ, აქვს გამგეობას ხარკის გადამხიდავ მომუშავეთა სია, თუ არაო, ან თუ აქვს, რა ნიშნები აქვთ მიცემული ქალაქისაგან და რამდენია ეს მომუშავე ქალაქშიო. პოლიცმეისტერს განუზრახავს შეადგინოს მუშათა სია და ყველა მუშას რამე ნიშანი ჰქონდეს; ეს იმისთვის, რომ ხშირად ბარგი იკარგება ხოლმეო.

◆ ქალაქის სასანიტარო საექიმო განყოფილების ინსპექტორს დაუვალებია ქალაქის ექიმის ყასუმოვისათვის, მეორე ღამის თავშესაფარში ავადმყოფები ინახულოს ხოლმე, სანამ ამის გულისთვის საგანგებოთ ექიმს მოვიწვევდეთო; ინსპექტორმა ამავე ნაწილის ფერშალს დაავალა, რომ მან ავადმყოფები დღეში ორჯელ ინახულოს ხოლმე.

◆ წარსული ორშაბათის საბჭოს კრებაზედ ხმოსანმა თამამშევმა აუწყა საბჭოს, რომ ზოგიერთი მოიჯარადრე ქალაქის ქონებისა ან სულ არ იხდის იჯარას, ან დროზედ არ იხდისო, კარგი იქნება საბჭომ დაავალოს ქალაქის გამგეობას, რომ ამ ქალაქისათვის საზარალო მოვლენის წინააღმდეგ, მიიღოს რამე ღონეო; ამასთანავე თამამშევმა მოიყვანა მაგალითიც: ქალაქის აფთიაქის მოიჯარადრენი, ძმ. ენიკოლოფოვები არ იძლევიან, აგერ რახანია, საიჯარო ფულსაო; ქალაქის თავი დაპირდა თამამშევს, ამაზედ პასუხს შემდეგ კრებაზედ მოგახსენებთო. როგორც გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა გამგეობას, —ენიკოლოფოვებს უნდა შემოეტანათ თერთმეტი ათასი მანეთიო. ამ ხარჯის დასაფარავად შეიძლება დაუჭიროთ ბეთ შემოტანილი ხუთი ათასი მანეთიო, ხოლო დანარჩენ ექვს ათას მანეთზედ ეჩივლოს ენიკოლოფოვებსა და თუ ფულად ვერ შესძლეს შემოტანა, ავეჯეულობა აუწეროთო.

◆ 7 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოს სასისხლო საქმეთა განყოფილებაში დანიშნულია საქმე სიმონ აკოპოვისა და სამსონ დანელიასი, რომელთაც კომერსანტ ი. ერვიეს მოკვლა ჰბრალდებათ.

◆ როგორც გვატყობინებენ, მომავალ ზაფხულს ბათუმში აპირებს მოსვლას საფრანგეთის ერთ-ერთი სააქციონერო საზოგადოების წარმომადგენელი, რომელიც აპირებს ბათუმის მახლობელ ადგილებში გააკეთოს სააგარაკო სახლები.

◆ 2 თებერვალს ტფილისიდგან სიღნაღში წავიდა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც სიღნაღში 13 იანვრამდე დარჩება. გასარჩევად დანიშნულია ამ ხნის განმავლობაში 30-დე საქმე.

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

30 იანვარი (მეოც-და-ერთე სხდომა).

კრება დაიწყო თორმეტის ნახევარზე. მცირეოდენ შესწორების შემდეგ ოქმი დამტკიცებულ იქმნა.

თავ. პ. წულუკიძე. თუმცა გუშინ გადასწყდა ათის-თავის (დესიატნიკი) თანამდებობა გავაუქმოთო, მაგრამ დღეს ბევრნი აცხადებენ, აუცილებლად საჭიროა ათის-თავიო. თუ სხვა ღონისძიება არაა, ისევ ტეხნიკის თანაშემწე დავითხოვოთ, უფრო იოლად წავალთო.

კარგა ხანს იკამათეს და დასასრულ დაადგინეს,—ორივე დარჩესო.

დიდი კამათი გამოიწვია მე-X მუხლმა (გზებისა და ხიდების შეკეთება). ხარჯთ-აღრიცხვაში ამ საქმისათვის გადადებული იყო 20,000 მ. მრავალი სხვა-და-სხვა მოსაზრება იყო გამოთქმული, მხოლოდ ყველანი იმ აზრს ადგნენ, რომ ეს თანხა მეტად მცირეა, გაცილებით მეტი თანხაა საჭირო.

ბ-ნი გ. ემერიკი. ბატონებო, თუმცა მრავალი საჭიროება გვადგა კარზე, მაგრამ მათ შორის უმთავრესი ორია—გზები და მუშათა ბინები. ყოვლად შეუწყნარებელი საქმე იქნება, რომ კრებამ ამ ორ შემთხვევაში რამე დაიშუროს.

ყველა უნდა დამეთანხმოს, რომ შავი-ქვის წარმოების ბედ-იღბალი გზების სიავ-კარგეზეა დამოკიდებული. სანამ ჩვენ რიგიანი გზები არ გვექნება, შეუძლებელია თვალ-საჩინოდ მისი გაუმჯობესობა. ამისათვის ჩვენ ეხლავე უნდა შევიმუშაოთ რამე გეგმა და მტკიცედ შევუდგეთ მის განხორციელებას.

ჭიათურის მთავარი გზები სულ 40 ვერსტამდე იქნება სიგრძით. აქედგან რომ გამოვაკლოთ ის გზები, რომელთაც მხოლოდ შეკეთება-ღა ესაჭიროება, დაგვრჩება 30 ვერსტი. თითო ვერსტზე რომ 5,000 მანეთი ვიანგარიშოთ საშუალოდ, სულ დაგვიჯდება 150,000 მანეთი, მაგრამ, რადგან ამოდენა თანხას ჯერ-ჯერობით ერთბაშად ჩვენ ვერ გამოვიღებთ, ოთხად გავანაწილოთ. ასე რომ ოთხის წლის განმავლობაში ყველა მთავარი გზები მზად გვექნება და ყოველ წლიურად დაგვეხარჯება 37,500 მანეთი. თუ ხარჯთ-აღრიცხვაში დასახელებულ თანხას—20,000 მ. 17,500-საც მივუმატებთ, ოთხის წლის შემდეგ საუცხოვო გზები გვექნება. კიდევა ვსთხოვ კრებას, ნუღარ დაიზრკოლებს ამ ყველასათვის სასარგებლო საქმეს.

თავ. პ. წულუკიძე. ბ-ნ ემერიკის აზრი დიდ პატივ-სადებია, მხოლოდ საქმე ისაა, რომ ძნელად გამოსარკვევია, რომელი გზაა მთავარი და რომელი არა-მთავარი. მაღაროებიდგან მრავალი გზები მოდის ჭიათურას; რომელ მრეწველსაც რომელი გზა ემხრობა იმისთვის ისაა მთავარი.

ყოველ შემთხვევაში საჭიროა გადავდოთ საჭირო თანხა, ავირჩიოთ კომისია და დავავალოთ, რომ კრების დასრულებისათანავე შეუდგეს ამ საქმეს: დაათვალიეროს ყველა გზები, იანგარიშოს, რომლით მეტი მადანი იზიდება და სხ., ამგვარად შემუშავებული გეგმა გადასცეს საბჭოს, რომელიც ვალდებული იქნება სისრულეში მოიყვანოს.

ბ. გ. ზდანოვიჩი. უმჯობესია, თვით კრებამ დაასახელოს ის გზები, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება კომისია, რადგან ყოველმა მრეწველმა ზედმიწევნით იცის ჭიათურის გზები, მათი დასახელება არ გაუჭირდება, თორემ მომავალში, რაც უნდა ბევრი ეცადოს კომისია, მაინც საყვედურებს ვერ ასცდება. დაასახელეთ ბარემ გზებიც და თანხაც, ეს თქვენთვის გასაჭირი არაა და კომისიას-კი დიდად შეუმსუბუქებთ საქმეს.

ბ. გ. ემერიკი. სწორედ უმჯობესია ბ. ზდანოვიჩის თვალთა ხედვის ისარი. ყველამ კარგად ვიცით ჭიათურის გზების რაოდენობაც, მიმართულებაც და მდგომარეობაც. აქვე დავასახელოთ, შესვენების დროს და ისე გადავსცეთ კომისიას, ან საბჭოს.

ბ. ს. ქვარიანი. გზების საკითხი მეტად რთული საკითხია. ყველამ კარგად უწყის, რა გზებიცა გვაქვს და რა საშინელ მდგომარეობაშია. რა საჭიროა კომისია; მოვილაპარაკოთ შესვენების დროს და აქვე გადავსწყვიტოთ, რომელი გზები უნდა გაკეთდენ.

ბ. კ. მოდებაძე. სანამ კრება ერთხელ და სამუდამოდ იმ გარდაწყვეტილებას არ დაადგება, რომ ყველგან გზა-ტკეცილი იქონიოს, მისი შრომა და ხარჯი მუდამ ამაო იქნება; რაც უნდა მშვენიერი გზა იყოს, თუ ქვით არაა მოხვინჭული, წვიმის დროს მეურნე—ჩალვადარი ვერ მუშაობს, ტალახში ეფლობა. თუ-კი გადასწყდება, რომ გზა-ტკეცილები გაკეთდეს, ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ თითო-ოროლა გზის გაკეთება არ ივარგებს: ერთი რომ გავაკეთოთ, ის მრეწველნი, რომელნიც მას არ ემხრობიან, საყვედურით აგვავსებენ. ამისათვის საჭიროა სესხად მაინც ვიშოვოთ სადმე 200,000 მანეთი და ერთბაშად გავაკეთოთ ყველა გზები; მივმართოთ რომელსამე საკრედიტო დაწესებულებას, ან ბანკსა, რომ გვასესხონ ეს თანხა; თუ რიგიანი გზები გვექნა, მერწმუნეთ, იმდენად იმატებს ჩვენი წარმოება, რომ სულ ადვილად გავისტუმრებთ ამ ვალს. გზების საქმე რომ კომისიას გადავსცეთ, მის განხორციელებას ჩვენ ვერ ვეღირსებით. არც ერთი საქმე, რომელიც კომისიას გადაეცა, ჯერ სისრულეში არ მოსულა. ამ საქმესაც იგივე მოელის. სრულიად ვეთანხმები ამ შემთხვევაში ბ. ზდანოვიჩის აზრს,—კომისია ამ საქმეში სრულიად არაა გამოსადეგი, აქვე უნდა გადასწყდეს კრებაზე.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ბ-ნ მოდებაძის წინადადების შესახებ ის უნდა მოგახსენოთ, რომ ჩინებული აზრია, მხოლოდ ძნელად განსახორციელებელი ჩვენს ეხლანდელ მდგომარეობაში. ამ რამდენისამე წლის წინად ინჟ. სახაროვმა გამოიანგარიშა, თუ რა დაჯდებოდა ქველგან გზატკეცილის გაკეთება. მისის ვარაუდით ამას მოუნდებოდა 600,000 მანეთამდე. მას შემდეგ კიდევ რამდენიმე ახალი გზა გაკეთდა. ასე რომ ეხლა კიდევ მეტი დაგვჭირდება. ჩვენ რომ ამოდენა ფული მოკლე ვადიან სესხად ავიღოთ, სარგებელს ვერ ავუვალთ; გრძელ ვადიან სესხს-კი არც ერთი საკრედიტო დაწესებულება არ მოგვცემს. არ მოგვცემს სესხს არც სააღგილ-მამულო ბანკები. მივმართოთ ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობით, რომ უსარგებლოდ გვასესხოს საჭირო თანხაო,—არავითარი იმედი არაა, რომ ჩვენი შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნას, ისეთ მდგომარეობაშია ამ ჟამად ფინანსიური მდგომარეობა სახელმწიფოსისა. ის-კი არა, ბეითლის მოწვევაზედ ასე გვიპასუხა, თუ თქვენ მისცემთ ჯამაგირს, დაგინიშნავთო. რომ ყოველის კუთხის ასე უიმედოდ არ ვიყოთ, ვინ ამბობს, რასაკვირველია უმჯობესია, რომ ყველა გზები ერთბაშად გავაკეთოთ.

ბ-ნმა გ. ცერცვაძემ განაცხადა,—ეს საქმე ისევ კომისიას უნდა დავავალოთ, მხოლოდ ჩვენ დედა-აზრი უნდა მივსცეთ, რომ იმით იხელმძღვანელოსო.

ბ-ნმა ი. გამყრელიძემ კიდევ გაახსენა კრებას იმ გზების შესახებ, რომელიც ტყიან ადგილებისაკენ უნდა იქნეს გაყვანილი, რადგან ჭიათურაში დიდი სიძვირეა ხე-ტყისაო. იმედია მთავრობაც მოგვეშველება, რადგან ზემოხსენებული გზები იმავე დროს საზოგადო გზებიც იქნებაო, და სთხოვა კრებას, უყურადღებოდ ნუ დასტოვებთ ამ მეტად საჭირო საკითხსაო.

$12^1/_2$ საათზე კრება შესწყდა 15 წამით, რადგან ერთმანერთში უნდა მოელაპარაკნათ და დაესახელებიათ უმთავრესი გზები.

კრების განახლების შემდეგ ბ-ნმა გ. ემერიკმა დაასახელა 13 გზა, მაგრამ აქეთ-იქიდან კიდევ შეიქნა ძახილი,—ეს გზაც მიუმატეთ, არა ესაო, და დასასრულ ყველა,—დიდი და პატარა, გასაკეთებელი აღმოჩნდა.

თავმჯდომარემ განაცხადა,—როგორც გატყობ, თქვენ ამნაირად ვერ შეთანხმდებით, და ისევ კომისია აირჩიეთო.

არჩეულ იქმნენ: ბბ. ვლ. ჯ. წერეთელი, ა. წერეთელი, ნ. ყიფშიძე, ბ. ერქომაიშვილი, ილ. რატიანი, ბ. ამაშუკელი, ა. კ. წერეთელი, ფ. დარჩია, კ. ყიფიანი, ბ. ქადაგიძე, ი. აბდუშელიშვილი, თავ. პ. აბაშიძე, ჯ. იაშვილი და კ. მოდებაძე.

ორმა-სამმა დაიძახა,—ინჟ. ჩერნევსკიო, მაგრამ თითქმის ერთხმად უარ-ჰყვეს; მის მაგივრად პოლკოვნიკი ემერიკი აირჩიეს (ძმა გ. ემერისა).

ბ-ნი კ. მოდებაძე. გთხოვთ განმათავისუფლოთ; არა მსურს კომისიაში ვიყო, რადგან ყოველი საქმე, რომელიც კომისიას გადაეცემა, დამარხულია.

ბ-ნი გ. ემერიკი. ეს კომისია სრული არაა; ერთი ტეხნიკიც უნდა ავირჩიოთ, რადგან ბ. მოდებაძე უარს ამბობს.

არჩეულ იქმნა ინჟ. ბარონ ფიტტენგოფი და კომისიის თავმჯდომარედ ბ. დ. ნ. ბაქრაძე.

ბ-ნი კ. ჟღენტი. ბატონო თავმჯდომარე, ნება მიბოძეთ...

თავმჯდომარე. ნუ მიშლით, თორემ სრულიად აღგიკრძალავთ ლაპარაკს...

ბ-ნი კ. ჟღენტი. მეტს რაღა აღმიკრძალავთ, ხომ მაინც არ მაძლევთ... (სიცილი)

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. რადგან უკვე არჩეულია კომისია, რომელმაც უნდა დაუსახელოს საბჭოს,—ესა და ეს გზები გააკეთეო, ეხლა კრებამ გადასწყვიტოს, როგორ უნდა გაკეთდეს,—გზა-ტკეცილი, იქით-აქეთ რუებით და სხ.

ერთხმად გადასწყდა,—გზა-ტკეცილი რუებით.

ბ-ნი გ. ემერიკი. გზა-ტკეცილს, როგორც ვიანგარიშეთ, 37,500 მან. დასჭირდება და 12,000 მ. ძველ გზების შესაკეთებლად.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ხარჯთ-აღრიცხვით გზების შესაკეთებლად ნაანგარიშევი იყო 20,000 მ.; ახალ გზებისათვის-კი 10,000 მ.; ეხლა მხოლოდ გზა-ტკეცილებისა და ძველ გზების შესაკეთებლად 50,000 მ. მოდის, და სრულიად აღარა რჩება-რა ახალ გზების გასაყვანად. ესეც ივარაუდეთ, ბატონებო.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ გადასწყდა, რომ 30,000 მანეთი გზა-ტკეცილისათვის გადაიდოს, 5,000 მ. ძველ გზების შესაკეთებლად, 5,000 მ.—ახლების გასაყვანად და 7,500 მ. ხიდებისათვის—სულ 47,500 მ.

ბ-ნმ- დ. ბაქრაძემ უარი განაცხადა,—გარემოება ნებას არ მაძლევს კომისიის თავმჯდომარეობა ვიკისროო, და მის მაგივრად არჩეულ იქმნა თ-დი ს. დ. წერეთელი.

გზების შესახებ ყოველივე კომისიამ უნდა უჩვენოს საბჭოს, რომელიც მხოლოდ სის-

# ფელეტონი

## მაროკკო.

1895 წელს რუსეთმა მარროკოში თავისი წარმომადგენელი გაამწესა, რომელსაც თან გაჰყვა ევროპიდამ ერთი შვეიცარიელი სწავლული გეოგრაფი, დოქტორი ერნესტ ტიველი. მარროკოში უცხო ქვეყნების წარმომადგენლები ქალაქ ტანჟერში ბინადრობენ, მარროკოს განაპირა ქალაქში, რომელიც ზღვის პირზეა და რადგან იმდროს სულთანი, თავის სასახლით, ქალაქ მარაკეშში სცხოვრობდა, ე. ი. მაროკკოს შუაგულში, ამიტომ მის წინაშე წარსადგენად ამ რუსს და შვეიცარიელ სწავლულს იქ მოუხდად წასვლა. ტანჟერის ფაშამ თან გააყოლა ამალა.

ამ გვარად, სწავლულ შვეიცარიელს შეძლება მიეცა ვრცელი და მეტად საინტერესო მოგზაურობა გამოევლო ამ სახიფათო ქვეყანაში, სადაც უცხოელს, თუ მცველები არა ჰყავს თან, მრავალი გაჭირვება და ფათერაკი მოელის ყოველ ფეხის გადადგმაზე. ერნესტ ტიველმა ევროპაში დაბრუნებაზე ვრცელი მოხსენება წარუდგინა ბერლინის საგეოგრაფიო საზოგადოებას და, სხვათა შორის, მაროკკოს შინაურ წეს-წყობილებასაც შეეხო. აქედამ ვიღებთ ჩვენ ამ ზოგიერთ ცნობას.

1894 წ. გარდაიცვალა მაროკკოს სულთანი მულეი ჰასსან, რომელსაც დარჩა ორი ვაჟი. უფროსი—მულეი მოჰამედ, რაღაც ახირებულ ზნის კაცი იყო და მასთან ცალთვალაც. ამისთანას-კი ყორანი უკრძალავს ქვეყნის მართვა-გამგეობას. ამ მიზეზით და აგრეთვე პირველ ვეზირის გაიძვერობით გარდაცვალებულ მამის ტახტზე ავიდა უმცროსი შვილი—მულეი-აბდულ-აზიზი, 16 წლის ახალგაზრდა, ყოვლისფრის დაუდევარი, გარდა პირადის სიამოვნებისა.

მინამ ამ სულთანზე ვიტყოდეთ ორიოდე სიტყვას, საჭიროა გავიცნოთ, რა კაცი იყო ეს პირველი ვეზირი, რადგან ამ ახალ სულთანის და მის მამის დროსაც ნამდვილი სულთანი ეს ვეზირი იყო; ქვეყნის მართვა-გამგეობაში სახრავი ამისი იყო, სახელი-კი სულთანისა. აჰმედ-ბენ-მუსსას,—ამ ვეზირის სახელია,—ცხოვრების აღწერა იწყობა ერთ პატარა ქოხიდამ, სადაც სცხოვრობდა მისი ბებია, ერთი საცოდავი მონა ზანგი. აჰმედას პატარაობითვე დიდი ნიჭი და გონება გამოუჩენია, რომლის წყალობით და, რა თქმა უნდა, ბედითაც, ეს კაცი იქამდინ ამაღლებულა, რომ ერთს დღეს გარდაცვალებულ სულთანს პირველ ვეზირად გაუხდია, ე. ი. მთელის ქვეყნის მართვა-გამგეობა მისთვის ჩაუბარებია. ნიჭისა და გამჭრიახობის გარდა, ეს ვეზირი საკვირველ მხნეობასაც იჩენდა თურმე: დილით სამ საათზედ წამოდგებოდა და, ნამაზის (ლოცვის) შემდეგ, თავის დივან-ხანში მიბძანდებოდა, 11 საათზე ისვენებდა სამამდინ და მერე ისევ დივან-ხანაში მიდიოდა სამუშაოდ ღამის 11 საათამდინ.

სულთანს ყველა ამისთვის სადა სცალოდა? ის თავის ჰარამხანაში ატარებდა თავის ბედნიერ დღებს...

პირველ ვეზირს ერთი ძმა ჰყავდა, რომელსაც სამხედრო მინისტრობა მისცა სულთანმა ვეზირის სურვილისამებრ. ჰყავდა აგრეთვე ერთი სიძეც, მარაკეშის ფაშა.

მთელს მაროკოს მართვა-გამგეობა ამ სამმა კაცმა იგდო ხელში: ვეზირმა, მისმა ძმამ და სიძემა. მაროკოოს ფაშები ან ჩვენებურად გუბერნატორები,—ამ სამს კაცს შესცქეროდნენ, სულთანს-კი მორჩილებას მხოლოდ იმით უმტკიცებდნენ, რომ დიდ ვეზირის ბრძანებით წელიწადში ერთხელ, რამაზან-ბაირამის დღეს, ხარკს და დიდ საჩუქრებს უგზავნიდნენ.

გარდაიცვალა სულთანი და ტახტზედ ავიდა მისი უმცროსი შვილი, ყოველისფრის დაუდევარი, ყოვლად გამოუცდელი და შეუგნებელი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ძლიერმა ვეზირმა მაშინვე ხელში ჩაიგდო. ვეზირისა, მის ძმისა და სიძის თავგასულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია ამის მეფობაში. საარაკო დესპოტიზმი, ქვეყნის ყვლეფა-გლეჯა, ათასგვარი ავაზაკობა, ფაშების გაუმაძღრობა და თავგასულობა სიმდიდრის შეძენაში, ყველა ეს ძირს უთხრიდა მთელს სამეფოს, რომელიც შეიცავს ათ მილიონამდე მოსახლეს.

თუ როგორ „განაგებდა“ ეს სამი კაცი ამ მაჰმადიანთ სახელმწიფოს, საკმარისი იქნება მოვიხსენიოთ შემდეგი: პირველ ვეზირს, სიკვდილის შემდეგ, დარჩა ფულად სამასი მილიონი და ისიც სულ ოქრო!.. 1900 წ. მოჰხდა რომ, რაღაც, განგებით წუთი-სოფელს მიატოვეს თავი და მაჰმადის სამოთხეში წავიდნენ: პირველი ვეზირი, მისი ძმა—სამხედრო მინისტრი და სიძე—მარაკეშის ფაშა. ფაშებს და ყადებს აქამდინ კიდევ ამ სამ კაცის შიში ჰქონდათ, ახლა კი მთლად თავისუფლად დაიწყეს თვის საფაშოების „მართვა-გამგეობა“. ბოლოს ამათი თავხედობა იქამდინაც მივიდა, რომ ზოგმა ხარკის მიცემაც-კი შეუწყვიტა სულთანს. აქა-იქ ამბოხებამ იჩინა თავი და ყველა ამას მოჰყვა ის არეულობა, რომელზედაც ახლა ამბები მოდის გაზეთებში.

სხვათა შორის, ერნესტ ტიველი თვის მოხსენებაში შემდეგს იუწყება სულთანის შესახებ! მამის სიკვდილის შემდეგ, ტახტზედ რომ ავიდა პირველ ვეზირის წყალობით, მაშინაც ყველას ჰქონდა გაგონილი მისი ავადმყოფობა. კაცობა არ ჰქონდა, ბევრმა მოლამ უწამლა, მრავალი შელოცვაც არ მოაკლეს, ათას-გვარი წამალიც ასვეს, მაგრამ ამაოდ. ვერ უშველეს უბედურ სულთანს; სასოწარკვეთილებას მიეცა სამეფო ჰარამხანა, ლამაზ ქალებით გავსილი. პირველ ვეზირს თავისი დარდი ჰქონდა—ქვეყნის გამგეობა, სულთანის დარდი-კი, როგორც ვხედავთ, გაცილებით უფრო დიდი იყო.

ერთხელ მაროკკოში ერთი გერმანელი გაზეთი მისულია ვილაცას, სადაც ეწერა, რომ სულთანს ვაჟი მიეცაო; ამ სამასხარო ტყუილმა ჰარამხანაში ისეთი სიცილი და ხარხარი გამოიწვია მშვენიერ ფერიათა შორის, რომ ჰარამხანის კისკისი და ქრიამული შორსაც-კი ისმოდაო, ამბობდნენ მორცხვი მოლლები. ამ უიღბლობასთან გარეგნობითაც თურმე ძლიერ უშნო ყოფილა ეს სულთანი. პირის სახით ბებერ აქლემს წააგავს, საძაგლად ჩასუქებული ტანი აქვს, აქა-იქ ამოსული ჯაგნარი წვერი, სულელური თვალები,—ასეთია ეს ხალიფეც-ალლა-ფი-ჰალ-კიდი, ესე იგი დედა-მიწაზე ალლაჰის მოადგილეო.

ბედის საქმეა, რომ ევროპის სახელმწიფოები ერთმანერთს ეცილებიან, ერთი-მეორის შური და მტრობა აქვთ, თორემ მაროკკოს ძლიერ ადვილად ჩაიგდებდა რომელიმე მათგანი. საფრანგეთს, სხვა რისთვისმე რომ არა ჰყავდეს მომზადებული ძლიერი ჯარი, ორის წლის წინადაც ჰქონდა კარგი საბაბი, ალჟირიდამ შეჰსეოდა რამდენისამე დივიზიით ამ ქვეყანას და თავისად გაეხადა.

ევროპიელ სახელმწიფოთა გავლენა მაროკკოზე ასეთია: ინგლისს ჰყავს თავისი წარმომადგენელი ტანჟერში, მაგრამ, როგორც სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებსაც, მეტად სუსტი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყანაში, რადგან ტანჟერიდამ მაროკკოში შესვლა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტად სახიფათოა და ავაზაკებს ვერ გადურჩები; მაგრამ ინგლისს სხვა ძლიერი კაცი ჰყავს მაროკკოში,—სარდალი მაკლინი, რომელიც სულთანის ქვეითა ჯარს, ინფანტერიას, უფროსობს, ეს მაკლინი ინგლისელია და ერთს დროს უმცროს აფიცრად (პოდპრაპორშჩიკად) იყო გიბრალტარზედ ინგლისის რაზმში. ერთხელ იქიდამ გაიპარა, გადავარდა მარკკოში და ახლა ღენერლადაა იქ. ამ მაკლინის მეოხებით ინგლისის გავლენა მაროკკოში სხვებისას არ ჩამოუვარდება, საფრანგეთს განწესებული ჰყავს ამ ქვეყანაში სამხედრო მისსია, რამდენისამე კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ჩაბარებული აქვს სულთანისაგან არტილერიის მოწესრიგება და რადგან საფრანგეთისათვის სასურველია მხოლოდ ის, რომ მაროკკოს არტილერია, რაც შეიძლება, სუსტი იყოს, ამიტომ იქაური ზარბაზნები თავის არტილერისტებისთვის უფრო საშიშარია, ვიდრე შორეულ მტრისათვის, თუ ომი მოხდა; გარდა ამისა ყველანი ლულიდან იტენებიან ძველებურად. ამას წინად პირველ ბრძოლაში, რომელიც მოხდა სულთანის ჯარსა და ტახტის მაძიებელს შორის, 12 ზარბაზანი ამან იგდო ხელში. ეს ამბავი სულთანის არტილერისტებს უფრო გაუხარდათ, ვიდრე გამარჯვებულებს, რადგან ამ უშნო და მძიმე ზარბაზნების თრევა მეტად თავ-სატეხი ყოფილა.

გერმანიამ, რომელიც თავის აღებ-მიცემის გაფართოებას სცდილობს ყველგან, მაროკკოს დასავლეთ ნავთსადგურებში ყველგან კონსულები გაამწესა; მაგრამ საქმე მაინც სუსტად მიდის, რადგან სულთანის ეკონომიური პოლიტიკა უშლის მაროკკოდამ საქონლის გატანას: სხვებს მადას ნუ გავუხსნით და ნუ ვაჩვენებთ ჩვენში რა და რა მოდისო. იარაღის შემოტანაც სასტიკადაა აღკრძალული, თორემ გერმანელები ბლომად გაასაღებდნენ იქ. რუსეთს მაროკკოსთან არავითარი საქმე არა აქვს და, თუ ამ ბოლოს დროს თვისი წარმომადგენელი გაამწესა ტანჟერში, ეს მხოლოდ საფრანგეთის ხათრით, რომ საფრანგეთის წარმომადგენელს ვინმე მომხრე ჰყავდეს მაროკკოს მთავრობასთან და ინგლის-გერმანიის გავლენას წინ დაუხვდეს, რადესაც საჭიროა.

საერთოდ-კი შეიძლება ითქვას, რომ გერმანია მზათაა ახლავე დაუთმოს საფრანგეთს მაროკკოს აღმოსავლეთი ნახევარი და თითონ დასავლეთი დაისაკუთროს; მაგრამ საფრანგეთი ნახევარს არა სჯერდება და სულ უნდა. ინგლისს ამ თავითვე მხოლოდ ტანჟერზე უჭირავს თვალი და ჰნატრობს მაროკკოს მეორე გიბრალტარად გარდაქცევას, რადგან პირველი გიბრალტარი ახლანდელ ზარბაზნებისთვის მიუდგომელი არაა.

ა. კვერ—ძე.

რულეში მოიყვანს მის განკარგულებას.

XI (აბანოს, ელექტრონის, წყალსაყვანისა და საყინულეს) ხარჯები უცვლელად დარჩა—14,100 მ.

XII (სამკურნალო ნაწილი)—15,147 მ. (19,094 მ. მაგივრად).

ექ. ს. ჯაფარიძის წინადადებით უნდა მოწვეულ იქმნას კიდევ მესამე ფელშერი.

XIII (სასანიტარო ნაწილი)—2,660 მან. (3,460 მ. მაგივრად).

ბ-ნ კ. მთდებაძემ სიტყვა ჩამოაგდო იმის შესახებ, რომ ზედ-მეტი ელექტრონის ძალა გვაქვს და ტყუილ-უბრალოდ კია გაჩერებული; ან ქუჩები გავანათოთ, ან ბაქნები, ან ბაზარიო; საფოსტო კანტორის გზაც-კი არაა განათებულიო; დიდად მოგვემადლება ეს ელექტრონის ძალა და სრულიად უმაქნისი-კი შეიქნა ყველასათვისაო.

ბ. გ. ზდანოვიჩი. ელექტრონის შესახებ, როგორცა ჰნებავს, ისე გადასწყვიტოს კრებამ; მხოლოდ ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ უსასყიდლოდ არავის დაუთმოთ იგი; ამდენი ხარჯი გაგვიწევია და ნაწილი მაინც უნდა ავინაზღაუროთ. ჩვენ რომ ბაზარი და ქუჩები გავანათოთ უსასყიდლოდ, სამაგიეროდ ვინ რას გვაძლევს? ქალაქებში, თუ ქალაქის თვითმართველობა ანათებს ქუჩებს, სამაგიეროდ მოქალაქენიც იხდიან გადასახადს; ჭიათურის მოვაჭრენი-კი არავითარ გადასახადს არ იხდიან.

ბ. გ. ეშერიკი. უპირველეს ყოვლისა ელექტრონით მომავალი საავადმყოფო უნდა გავანათოთ და, თუ რამე გადაგვრჩა, დაკლებულის ფასით მივსცეთ მცხოვრებთ, ეხლა მიტომ ვერ სარგებლობენ მცხოვრებნი, რომ მეტად ძვირია,—თითო ლამპა წლიურად 40 მანეთია. 20 მანეთი რომ დავნიშნოთ, იმედია ბევრი მსურველი აღმოჩნდება.

კრება $2^1/_2$ საათზე შესწყდა 10 წამით.

XIV (საბეითალო ნაწილი)—გადადებულ იქმნა მომავალ მორიგ კრებამდე.

XV (შემწეობა და საჩუქრები)—1000 მ. (2000 მ. მაგივრად). დაადგინეს,—ეს ფული მხოლოდ წვრილ მოსამსახურეთ უნდა მიეცესო.

XVI. (პოლიცია)—1,944 მ. (2,344 მ. მაგივრად).

ბ. ს. წერეთელი. ბატონებო, პოლიციას მიტომ ვაძლევთ ჯამაგირს, რომ საჭიროების დროს დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე მრეწველთ; მაგრამ ყოველის კუთხით აცხადებენ,—როცა საჭიროა, ვერა ვხედავთ, თავის ადგილზე არ არისო. უეჭველად უნდა ვაცნობოთ, ვისიც ჯერ არს, რომ ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას.

XVII (მუშათა დაზღვევა და საპენსიო კასსა მათთვის)—6,600 მან; უცვლელად დარჩა.

XVIII (ქიმიურ ლაბორატორიის შენახვა)—5,000 მ.—უცვლელად.

VIX (სტიპენდიები)—5,000 მან. (2,840 მაგივრად).

## ერეკლე მეფე და მისი წერილები

### VI

(დასასრული *)

მდივნიანთ ოჯახი იმდენათ ერთგულობდა ქართლის სამეფოსა, რამდენადაც საჭიროობდა; როდესაც ეგ საჭიროება მოისპობოდა და სხვა ქარი დაუბერავდა, მაშინ მდივნიანთ ოჯახიც ზურგს შეაქცევდა ხოლმე ქართლის მეფესაც და ქართლის ინტერესსაც. რომ მდივნიანთ ოჯახი მარტო თეიმურაზ—ერეკლეს დროს არ იქცეოდა ეგრე, ამის საბუთად ორ ძველ წერილსაც მოვიყვანთ: № 31. „ქ. თქვენის: ყოვლის: სიკეთე: მოუკლებარის თავის კარგად ყოფნის და კარს ამბავის გაგონების დიდად მონატრე მდივანი გივი მოგახსენებ ჩვენო დიდო იმედო და დიდათ იმედათ მისაჩენელ-მისახედაო და ყოვლის კეთილის მყოფლად სახსენებელო! გრძლად რაღა გკადროთ და მოგახსენოთ, ძმაო ბატონო მდივანო შიოშ! მრავალი თქვენის სიკეთე მოუკლებარის თავის შესაფერი მოკითხვა და კარგად ყოფნის ნატრა მამიხსენებია. მერმე ბევრჯელ ავლოვაც მამიხსენებია და აქაც მოგახსენე და არ დამიჯერე, და კიდევ ამას მოგახსენებ: ღმერთმან იცის ამ ბატონის (მეფე გიორგი XI) უზიანოს საქმით ჩემ ჟამში შენთვინ ავი და ურიგო არ მდომებია და არც მინდა. მაგრამე ცუდუბრალოდ ნურც შენს თავსა და ცოლ-შვილს აუწირებ საქმეს და ნურც ბატონისა და ქვეყნის საყვედურსა და საქმეს ნუ დამადებ და ნურც მის უფრო შენ დაიდებ. ყოველს კაცზედ ნამეტნავად წყალობასა და შემატებას მოველოდი, და ახლა ბევრიც წამერთო და პატივი მომეკლო—რატომ შიოშ ჩვენი სამსახური არ ინდომა. თუ მიყვეს, შენის გულისათვინ, თორემ შენც იგი დამც მაგ ბატონზედ (ნაზარალი ხანი ე. ი. ერეკლე I გიჟაგ დამნაშავე, თორემ ამათზე (მეფე გიორგიზე) არას დამიშავებია-რა. კმარა სამსახურად, ეგეც გეყოფის, შენის მემკვიდრის (ქართლის, ე. ი. გიორგი მეფის) ბატონის ხლებას აღარც ეგ გიწყენს და არც ეგ იკადრებს, რომე საბოლოო წაგიხდინოს, გეყოფის, მაგ ბატონიშვილს ქინიხსროს იახელი, ეგების მტერთ გულისად არ გვხდეთ და რომელიც წყალობა მოგვმადლდეს, ისევ გვიშობიან, თორემ ავად მოხდების. ვიცი ამას იტყვი—საშოვარი მაქვსო, მაგრამე მამული და სამკვიდრო ადვილად არ დაითმობის! კახეთში ბევრი მამულიც იშოვნა, არას გარგებს, მამული სჯობს მამულს ნასადგვს უმკვიდროს! „გვერდზედ წაწერილია—„ლიპარიტ მრავალი მოკითხვა და კარგად ყოფნის ნატრა მოგახსენათ“. 1688 წ. ერეკლე მეფემ დაიპყრა ქართლი, გიორგი მეფე იმერეთ საათაბაგოსაკენ გაერიდა. აი, ამ დროს თუმანიშვილმა შიოშმა უღალატა გიორგი მეფეს და მიეკედლა ერეკლეს (ნაზარალიხანს). მაგრამ გიორგი მეფემ ქართლი ისევ დაიპყრო და ერეკლეს საქმე გაუჭირა. ერეკლეს უნდოდა მორიგებოდა გიორგი მეფეს: თვით კახეთში ემეფნა, ხოლო გიორგის ქართლში, მაგრამ შიოშმა და მისთანათა არ უყვეს ერეკლეს *) ამიტომ გაგრძელდა ძმათა შორის უმანკო სისხლის ღვრა. ბოლოს ერეკლეს შვილი მეფე იმამყული ხანი მაინც კახეთის ანაბარა დარჩა და შიოშმაც აქ მოიკალათა. ამ დროს სწერს მდივანი გივი თავის განაყოფს შიოშ მდივანს და ურჩევს ქართლში გადმოსვლასა. მაგრამ შიოშმა ვერ გაბედა ქართლში მოსვლა, შურისძიებისა ეშინოდა. ბოლოს ისევ თვით მეფე იმამ ყულის ხანს მიაწერინა კახეთიდამ დიახ გამოჩენილ ონოფრე წინამძღვართან (მაჭუტაძე, დავით გარეჯაში + 1713 წ.) შემდეგი საშუაკაცო წერილი: № 32 „ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენსა დიდსა იმედსა და დიდათ იმედად მისაჩენელ-მისახედავსა წინამძღვარს ონოფრეს მრავალი მოკითხვა მიახსენეთ. მერმე აქაც გითხარით და ამ მდივნის ძმის შიოშის საქმეზედ ბატონის ხარჭაშნელის (ეპისკოპოსი ფილიპე ჩოლოყაშვილი) ხელით წიგნი ვაახელით (მეფე ვახტანგ VI-ს) და შუა ჩამოუვედით ამის წანართმევზედ (ყმა-მამულის) და ებძანათ მივცემთო. ახლა ეს (შიოშ) შენთან გამოგვიგზავნია და ბატონს მოახსენე შენ, რომ ჩვენის გულისათვის ამას თავისი წანართმევიც ისევ უბოძოს და კიდეც შეირიგოს, ნურას უსაყვედურებს. თუ ჩვენი თავი გინდათ, ამის საქმეს კარგათ ეცადეთ. უეჭველია, ამისთანა ავკაცობა შთამომავლობით მომდინარეობდა მდივნიანთ ოჯახში რომ ასე გა [მეფე იმამ ყული ხან] ატანეს ბოლომდე (1579—1801).

შემდეგ განვიხილავთ გივი ამილახვრის ბრძოლას სამი წლის განმავლობაში ყიზილბაშებთან. პირველში წაიცადა ბეჟან თუმანიშვილმა გივი ამილახვარი—შენი ერთგული ვარო. როცა გივი შეუდგა საქმეს, ბეჟანმა უღალატა. რამდენსამე თვეზე გივი ამილახვარი ქართლის მბრძანებელი შეიქმნა და ბეჟანს საყვედური შეუთვალა სიტყვის გატეხისა გამო. ბეჟანმა შემდეგის სულმდაბალი წერილით ასე იმართლა თავი: № 33 „ქ. ჩემო მწყალობელო ბატონო! რაც გებძანათ, ყველა ვცან. უპირობისა გებძანა, რახან მე პირს გავტეხ, ადამიანის შვილი-კი აღარ ვიქნები, ძაღლის შვილი ვიქნები. ბევრი ამბავი რათ უნდა, სულ ქვეყანამც შენ გენაცვალება! ახლა როგორც მენ მიბძანებ, იმ პირზე დავდგები, ჩემო ბატონო!“ ეს წერილები იმისათვის დავბეჭდეთ, შემდეგაც ხომ ბევრს დავბეჭდავთ, რომ მკითხველმა კარგათ სცნას, თუ რა მოხელენი, რა კაცები იყვნენ სამეფო მდივნები, რომელთა ხელში ტრიალებდა ქართლისა და მის მეფეთა შინაურ-საგარეო მართვა-გამგეობის ჭახრაკები. ალალ-მართალნი ქართლისა ლის მეფენი ხელის-გულზედ მოძწვარი ერბოკვერცხით შეაქცევდნენ მდივნებს, ესენი-კი ზურგს შეაქცევდნენ ხოლმე, რამწამს ქარი სხვაფრივ დაუბერავდა: არა ჰქონდა მათთვის დანახვა სიკეთეს, კაი კაცობასა, გულუხვს პურ-მარილსა, მეზობლობასა!!.

პ. კარბელაშვილი.

*) იხ. „ქართლის ცხოვრება» 63 გვ. და სხ.

[1]) იხ. „ივერია № 26,

## ჩვენებური ამბები

**ონი.** 24 იანვარს დაბა ონში მიწვეული იყო მთელი რაჭის თავად-აზნაურობა რაჭის მაზრის თ. აზ. წინამძღოლის თ. ღ. ყიფიანისაგან. თავ.-აზ. წინამძღოლმა გამოაცხადა: დაბა ონში იხსნება სამკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი. იმედია, მთელი თავად-აზნაურობა ამ ფრიად სასარგებლო საქმეს თანაუგრძნობთო. სკოლის დაარსებისთვის თავად-აზნაურობამ უნდა გამოიღოს სამი ათასი მანეთი (3,000 მ.), დანარჩენს-კი გლეხები და თვით მთავრობა გვეწევაო. ვინც მიიღებს მონაწილეობას სკოლის დაარსებისთვის სამი ათასი მანეთის გამოღებაში, მათს შვილებს სწავლის ფული მხოლოდ ნახევარი გადახდებათ, ხოლო ვინც არ მიიღებს მონაწილეობას, მათ შვილებს-კი ყოველ წლიურ სწავლის ფული მთლად გადახდებათო. ცოტა არ იყოს, ქვემო რაჭველმა თავად-აზნაურობამ უხერხულათ სცნო ონში სკოლის დაარსება. სკოლა რომ სადმე რაჭის მაზრის შუა ადგილზე დაარსდეს, უმჯობესი იქნება და ფულსაც გამოვიღებდითო. ონი ყოველ კვირაში იძვრის და ვინ იცის აგებ როდისმე მასაც შემახიის დღე დაადგესო. ზემო რაჭველებმა სთქვეს: უკეთუ ქვემო რაჭველი თავ.-აზნ. არ შეგვეწევა იმ სამი ათასი მანეთის გადახდაში, რომელიც უნდა შეგროვდეს სკოლისათვის, ხსენებული სკოლა მხოლოდ ონში დაარსდეს და იმ ფულებს მარტო ჩვენ გადავიხდითო.

ბ. თავ.-აზნ. წინამძღოლმა გამოაცხადა: ვიცი, ზოგიერთი თავადი თუ აზნაური არ მისდევს შრომას, ამიტომ ბევრ მათგანს ეწვია სიღარიბე და ავ-კაცობას მიჰყო ხელი. ამისათვის განვიზრახე ერთი საშუალება ავკაცობის მოსასპობად. თავად-აზნაურობამ ამოირჩიეთ ორი კეთილ-საიმედო კაცი მთელის მაზრიდგან, გლეხების მხრით-კი მამასახლისებს ექნებათ დავალებული; ამ ამორჩეული კაცების ჩვენებით, ჩვენ შევიტყობთ, ვინ არის ავი კაცი. იმ შემთხვევაში მე და ბ-ნი მაზრის უფროსი ვიშუამდგომლებთ უმაღლეს მთავრობასთან, გადაასახლონ აქედგან ის მავნე წევრნი. თუ ასე არ მოვიქცევით, ავ-კაცობა სოფლებში ძალიან ძნელად მოისპობა. სასამართლოები ყოველ ავ-კაცს თუმცა სჯის, მაგრამ, განთავისუფლდებიან რა მცირე სასჯელისგან, ამისთანა კაცები ისევ ავ-კაცობას მიჰყოფენ ხოლმე ხელს. ერთმა თავადმა იუკადრისა, მამასახლისებს ნუ გაურევთ ჩვენს საქმეშიო. მაშინ ზოგმა თავად-აზნაურმა უპასუხა: მაშ ჩვენ ვყოფილვართ ცუდი კაცებიო. ბ-ნ წინამძღოლს დიდი მადლობა შესწირეს და ყოველ მის ნათქვამს თანაგრძნობით მიეგებნენ.

ვანო ქიქინაძე.

---

**სიღნაღი.** 29 იანვარი. ჩვენ ქალაქ სიღნაღზედ ყველაფერი ითქმის, მხოლოდ სულ ავი, რადგან კარგი არსით არა სჩანს, ყველაფერი აკლია და ყველა სიკეთეს მოკლებულია. არ აბადია ამ უბედურ დღეზედ დაბადებულ ქალაქს სამკითხველო და წიგნის მაღაზია, რომ ცუდა კაცი მაინც შევიდეს და თავი გაირთოს რითიმე; ჟურნალ-გაზეთები ხომ სანატრელია ჩვენთვის, თითო-ოროლა სახელმწიფო დაწესებულებას თუ მოსდით გაზეთები, ისიც ოფიციალური გაზ. „კავკაზი“, კერძო პირებს-კი, თითქმის არავის, ოროდე კაცის გარდა. არა ჰყავს ქალაქ სიღნაღს ინტელიგენცია? აქ ყველა ინტელიგენტია. უმაწვილ კაცობა? ბუზივით ირევა. მაშ რით ირთობს ეს ხალხი თავს? უმაწვილ-კაცობა დვინოში დობება, ბობოლა ინტელიგენტები კიდევ ერთმანერთს უბდვერიან! გვაქვს ორად ორი სასწავლებელი, ოროვეში 400-მდე მოსწავლეა. ამ სკოლებიდგან განდევნილია ქართული.

ზემოხსენებულ სასწავლებლების მასწავლებლენი და ზოგიერთი გარეშე პირნიც ხანდახან მართვენ საქველმოქმედო მეჯლიშებს, წარმოდგენებს და სხ. გასართობებს, რომ ამაგის შემოსავლით დაეხმარონ ქვრივ და ღარიბ-ღატაკის შვილებს და მათ მეუროონ თვალზედ ცრემლი. გარდა სწავლის ფასისა, აქ აჭირებს საქმეს სახელმძღვანელო წიგნების და კანცელარიის ხელ-საწყობი მაღაზია გ. უაქარდუზოვს და გ. ავაქოვს, რომლის „ვივესკას“ ზედ აწერია „ეკონომია“, მაგრამ რა? ესენი უფრო სულს უხუთავენ საწყალ უმაწვილებს. აქვს მაგრიან წიგნს ჰყიდიან 55—40—85—90 კ. ძ მეტადაც. ეკონომია არ არი, მა რა ეშმაკია! აქ ადგილი არ არი, თორემ ჩამოვაწვლილი იმათ სახელს და გვარებს, რომელნიც შოშარდნენ ამ შთლას და გამოიყვანეს პატრონებმა თავიანთ ქალი შვილები, მოაბარეს ზოგმა სამკერვალოში, ზოგმა წმინდა ნინოს მონასტრის სკოლას შეაფარა თავი სწავლისთვის და ზოგიც ტფილისს გაუშურა. სწორედ ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ იმათი მწუხარებისათვის უცქიროს! მარიამის სასწავლებლის უფროსმა მასწავლებელმა ქალმა ითავა და გამართა ვგონებ მეჯლიში შარშან ქრისტეშობისთვეში, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოებამ თანა გრძნობა არ აღმოუჩინა. ამავე მიზნით მასწავლებელმა ქალმა ან. ნ. უაზახოვისამ იანვრის 25-ს დასდგა სამოქალაქო კლუბის დარბაზში ოთხი ვოდევილი,—ორი რუსული და ორი ქართული.

კლუბის დარბაზს საღამოს 8 საათზე მოაწყდა საზოგადოება, გაივსო დარბაზი ხალხით ისე, რომ ტევა აღარ იყო: მოთამაშეთ არ უღალატეს თავიანთ საქმეს თითქმის ყველამ კარგად იცოდა როლი, ნამეტნავად კარგი იყვნენ ბაქრაძისა და ვანნაძისა, გვალიაშვილი, ბაქრაძე და ჩახნაევი. დანარჩენთაც არა უშავდათ-რა.

ი. შ.

## კავკასია

**გროზნა.** სოფელ შამაიურტში იციან ბაზრობა, ყაზახ-რუსებიც მიდიან ხოლმე სავაჭროდ, ე. ი. გასასყიდ-სასყიდლად. ამას წინად, ამ ბაზრობის დღეს, სავაჭროდ მისულთ ზაკანიურტელმა ყაზახებმა შეჰნიშნეს ერთს ჩაჩანს მხარზედ ბერდანკის თოფი. ყაზახებმა თოფი აათვალიერ-ჩაათვალიერეს და ნომერზედ იცნეს, რომ მათი სტანიცის ნომრის თოფი იყო; ამიტომ ყაზახებმა მოინდომეს ჩაჩნისთვის ბერდანკის წართმევა, მაგრამ რას გახდება ერთი სთანი! ყაზახები სულ რამოდენიმე კაცნი იყვნენ და ჩაჩნები რამდენიმე ასი. ჩაჩნებს უბრძანა მათმა მამასახლისმა: „სცემეთ და გარეკეთ ყველა რუსები ამ ბაზრიდანაო“. ბრძანება სწრაფად აასრულეს: დაეხვივნენ ჩაჩნები ყაზახებს, დაუშინეს, სამინლად სცემეს, ორი ბერდანკის თოფიც წაართვეს და, დაჩეგვილები, კაცაან-ქალიანად გარეკეს. ყაზახები გამოვიდნენ თუ არა მდინარე სუნჯას, ნახეს, სამი ჩაჩანი ურმით მოდის. ყაზახებმაც მოინდომეს ჯავრის ამოყრა. გადმოიღეს ეს სამივე ჩაჩანი ურმიდგან და სცემეს, საკვდილზედ მიაყენეს, შემდეგ ურემზედ დადებულნი გაისტუმრეს შინისკენ. ჩაჩნებმა თავიანთი თავ-გადასავალი აცნობეს სოფელს. სოფელში მცხოვრებ ჩაჩნებმა შეჰქმნეს ხმაურობა და აღდასწყვიტეს,—საიდუმლოდ თავს დაესხნენ და აიკლონ სტანიცა ზაკანიურტისა. ჩაჩნები შეუდგნენ მზადებას. მაგრამ ამათი განზრახვა ჩქარა აცნობეს ზაკანიურტელებს. დაუყოვნებლივ ზაკანიურტელებმა ეს ამბავი აცნობეს მმართველობას. მოამზადეს ასი ცხენოსანი ყაზახი და ასი ქვეითი ჯარისკაცი; ყაზახები ზაკანიურტს შემოერტყნენ და ჩაუსაფრნენ საიდუმლოდ. ასე გამზადებულნი იყვნენ ზაკანიურტელები. ამავე დროს ერთი მიღიციის უფროსი ქისტი საიდუმლოდ გუ წავიდა და აცნობათ შამანიურტელ ჩაჩნებს: „არამც და არამც არ წახვიდეთ, თორემა ყაზახები მომზადებულები არიანო“. ამ ნაირად, ჩაჩნებმა ვეღარ მიაღწიეს თავიანთ განზრახვას და გულის წადილს...

როგორც გავიგეთ, ყაზახის სტანიცელებს დეპუტაცია გაუგზავნიათ უმაღლეს მთავრობასთან და უთხოვნიათ, რამე წამალი დაგვდეთ და დაგვიხსენით ჩაჩან-ქისტების ცარცვა-გლეჯისაგანაო.

---

წარსულ ნათლიღების შემდეგ დღეებში აქვე გროზნაში, სობორის ახლო, ხილის გამყიდველ სპარსელის დუქანი სამი დღე არ გაიღო. მეოთხე დღეს-კი მისმა ნაცნობებმა აცნობეს პოლიციას, პოლიციამ გაალო დუქანი და დაზგას ქვეშ თავის საწოლში ყელ გამოჭრილი ნახეს საბრალო სპარსელი. ამ სპარსელს ბიჭი ჰყავნდა და ისიც აღარსად სჩანს. ეჭვი იმ ბიჭზედ მიიტანეს. ბოროტ-მოქმედთ არაფერი არ წაეღოთ, არც ფული და არც სხვა რამ; ყელი რომ გამოუჭრიათ საბრალოსთვის, მერე პირზედ შაქრის ქაღალდი გადაეფარებინათ, კარები გარედგან კლიტით დაეკეტნათ და ისე დაეტოვებინათ.

---

ამ ერთი კვირის წინედ, გროზნაზედ ახლო მეოფ მეცხვარე-მთხევებს მიეპარნენ ქისტები ცხენის ურმებით თავის მოსაპარად. მოხევე-მეცხვარეებმა ჩქარა შეიტყეს, მისცვინდნენ და დაუშინეს კომბლები ქისტებსა და ისე დაბეგვეს, რომ ალაგიდგან ვეღარ იძროდნენ. შემდეგ, ცოცხალ-მკვდარი ქისტები აიღეს მეცხვარეებმა, დაუდეს იმათვე ურმებზედ და იმათვე სოფლის გზას გაუყენეს.

ქართველი ოსებში.

## თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი

,,მტერ-მოყვარე ძმები'' კომ. 4 მოქ. ერკმან შატრიანისა, თარგ. ავ. ცაგარლისა და ,,ორი მშიერი'' ვოდევილი 1 მოქ. გადმოკეთებული დ. აწყურელის მიერ.

„მტერ-მოყვარე ძმებს“, რომელიც კვირას, დილით, წარმოადგინეს, ბევრი არა აცხია-რა თანამედროვე ცხოვრებისა, მაგრამ მისი ცქერა სცენაზედ მოსაწყენი არ არის, რადგან შემკულია სცენიურის ღირსებით. ერთის მხრით სდგას ძველი თაობა, მეორე მხრით—ახალი თაობა. ამ ორ თაობის შორის ასტყდება ბრძოლა, მხოლოდ ისეთი არა, როგორც ახლა სუფევს მშობელთა და შვილების შორის.

ორ ძმას—ივანეს (ვ. გამყრელიძე) და იაკობს (ი. ივანიძე) ერთმანეთი სძულთ ჭირივით—და შემთხვევას ეძებენ ერთმანეთს ძირი მოუთხარონ. ამ უბედურებას სხვა ჭირი დაერთვის ზედ: ივანეს ქალიშვილს—ლიზას (ო. ლეჟავას) და იაკობის ვაჟს—გიორგის (ს. სვიმონიძე) ერთმანეთი შეუყვარდებათ და მშობლებთან დიდი შეტაკება მოუხდებათ. საქმე იმით თავდება, რომ ძმები შერიგდებიან და ბიძაშვილთ ნება მიეცემათ შეუღლებისა.

რაც შეეხება მსახიობთა თამაშობას, გვარიანი იყო. მასწავლებლის როლს, რომელიც მეტის მეტი კეთილ-კეთილია და მშვიდობიანობის ჩამოგდება უნდა ორ მტერ-მოყვარე ძმებს შორის, გ. გედევანოვი თამაშობდა.

მთავარი როლი ამ პიესაში მასწავლებლისაა და მის შემსრულებელზეა დამოკიდებული მთელის პიესის კარგად თუ ცუდად ჩავლა. გ. გედევანოვმა ნაკისრი როლი შეასრულა მეტის მეტად ხელოვნურად. მან სავსებით გადაშალა მაყურებლის თვალწინ მასწავლებლის სულიერი მდგომარეობა.

იყო ისეთი მომენტები, როდესაც მსახიობი ხელოვნების უმაღლეს წერტილზედ იდგა ძ დალაგებით ატყობინებდა მაყურებელს თავის გულ-ნადებს.

ყველაზედ ძნელი დასასურათებელი ის მომენტია, როდესაც ლუიზა სდგას მასწავლებლის წინაშე და ამობს, ჩემი ბიძის ოჯახი მთლად მძულსო. მასწავლებელს ამ გვარი სიტყვები არა ერთხელ სმენია, მაგრამ ახლა ჩაიხედა მხოლოდ ამ სიტყვების მნიშვნელობაში და მის კეთილს გულს მეტიც აღარ უნდოდა. ის ჩავარდა დრამატიულ მდგომარეობაში, მხოლოდ ისეთ დრამიულ მდგომარეობაში-კი არა, რომელსაც ცხოვრების გმირნი განიცდიან ხოლმე, არა, მასწავლებელი მსუბუქი ხასიათისაა, კომიკური კაცია და მასთან ხელი არა აქვს დიდ დრამატიზმებს. მისი დრამატიული მდგომარეობა აგებულია კომიკურ ქარგაზედ და ამიტომ მსახიობი ერთსა და იმავე დროს მაყურებელს, როგორც იტყვიან, ცალის თვალით უნდა ატირებდეს, ცალის თვალით-კი აცინებდეს.

გ. გედევანოვმაც ლიზას შემდეგი სიტყვები: „თქვენ სწამლავთ ჩემს სიცოცხლეს“ უთხრა სწორედ ისე, როგორც ზემოდ დავასახელეთ და მაყურებელიც ვერც გაცინებას ახერხებდა ხეირიანად და ვერც მწუხარებას. ასე ჩინებულად გ. გედევანოვმა ბოლომდე ჩაატარა ნაკისრი როლი.

ვ. გამყრელიძე (ივანე) კარგი იყო, მხოლოდ მეორე მოქმედებაში, როდესაც ლუიზას უჯავრდება, როგორ გაბედე შეყვარება ბიძაშვილისა, რომელიც მე მძულსო, მსახიობმა გრძნობა ვერ შეიკავა და ვეღარც თვისი მშვენიერი ხმა მოიხმარა ჯეროვანად. მსახიობი ბევრს უმნიშვნელო სიტყვებს ხაზგასმით ამობდა, ბევრს საჭიროს-კი უყურადღებოდ სტოვებდა...

დანარჩენ ადგილებში მსახიობი იყო ზომიერი, თავდაჭერილი და სიტყვებს შესაფერს გამოთქმას აძლევდა.

კ. შათირიშვილმა (ბებელი) თავისი პატარა როლი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, კარგად გაატარა.

ო. ლეჟავას (ლიზა) არა აკლდა-რა არც ერთს მოქმედებაში, გარდა მეოთხისა. აქ ლუიზა უამბობს მასწავლებელს, გიორგი ძალიან მიყვარსო და, მართლაც, პიესიდგან სჩანს, რომ ძალიან უყვარს, მაგრამ მსახიობ ქალს-კი ეს სიყვარული სრულიად არ ეტყობოდა.

დანარჩენ მოთამაშეთაც არა უშავდათ და ხელს უწყობდნენ პიესის კარგად ჩავლას.

დასასრულ წარმოადგინეს მხიარული ვოდევილი „ორი მშიერი“, რომელიც, ძალიან გადაჭარბებული რომ არ იყოს, უფრო კარგი იქნებოდა. მონაწილეობას იღებდნენ ვ. გამყრელიძე, დ. აწყურელი და ბ-ნი იორდანიშვილი და ყველანი კარგნი იყვნენ.

ა—ნა.

---

უკვე დაიწყო თავ.-აზნ. თეატრში გასტროლები ქ-ნ კომისარჟევსკისა. პირველი წარმოდგენა კვირას იყო—პოტაპენკოს პიესა „თილისმა—ზღაპარი“ —(Волшебная сказка).

საზოგადოდ მიღებული არ არის პირველი წარმოდგენის მიხედვით შეადგინოს კაცმა აზრი ამა თუ იმ ახალ მსახიობის შესახებ; ჩვენც ამ ჩვეულებით ვიხელმძღვანელებთ და დაწვრილებით ანგარიშს ქ-ნ კომისარჟევსკის შესახებ, რომელსაც რუსეთში საკმაოდ აქვს სახელი მოპოვებული, რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ განვუზიარებთ მკითხველს.

---

**ბათუმი.** 30 იანვარს აქაურს რკინის თეატრს აუარებელი საზოგადოება მიაწყდა. ამ დღეს ქუთათურმა სცენის მსახიობებმა, ქ-ნ ტასო აბაშიძის მონაწილეობით, წარმოდგენა გამართეს არტისტის ვლ. მესხიშვილის სასარგებლოდ, რომელიც, ავადმყოფობისა გამო, დროებით სცენას თავს ანებებს და სამკურნალოდ მიდის საზღვარ-გარედ. საზოგადოება, რა თქმა უნდა, თეატრისკენ მოეშურებოდა, რომ დამტკბარიყო სცენიურ ხელოვნების ყურებით, მაგრამ უფრო-კი იმ აზრით, რომ თავისი წვლილი გადაედვა საყვარელის არტისტის დასახმარებლად, რომელმაც თავისი სიჭე და ძალ-ღონე შეალია ქართულის თეატრის დამკვიდრებას.

წარმოადგინეს ვალ. გუნიას კომედია—„ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ და მის მიერვე გადმოკეთებული ვოდევილი—„ქალის საქმეა“. წარმოდგენამ ჩინებულათ ჩაიარა და ყველა არტისტები ხანგრძლივის ტაშისცემით დააჯილდოვა საზოგადოებამ.

წარმოდგენის გათავების შემდეგ საზოგადოებამ მოითხოვა ბ-ნ ვალ. მესხიშვილის

დანახვა სცენაზედ, რომ გზა დაელოცნა და დროებით გამოსთხოვებოდა. ბ-ნი მესხიშვილი სცენაზედ გამოჩნდა თუ არა, ტაშის ცემამ იგრიალა და დიდ ხანს არ შეწყვეტილა. როცა საზოგადოება დაწყნარდა, ბ-მა ნეს. კალანდარიშვილმა სცენაზე წაიკითხა, ბათუმელ ახალგაზდობის შედგენილი ადრესი და ბ-ნ მესხიშვილს გადასცა. ადრესში განმარტებული იყო თეატრის მნიშვნელობა ამერიკასა და ევროპაში და განსაკუთრებით ჩვენში და აგრეთვე ის დიდი ღვაწლი ბ-ნ მესხიშვილისა, რომლის წყალობითაც ქართულმა თეატრმა ასეთი სახელი მოიხვეჭა. შემდეგ ერთმა ახალგაზდა არტისტმა წაიკითხა თავისივე ლექსი, რომელშიაც უსურვა თავისს მასწავლებელს (ბ-ნ მესხიშვილს), ადრე განკურნება სენისაგან და ისევ დაბრუნება სცენაზე სამოღვაწეოთ.

წმინდა შემოსავალი წარმოდგენიდგან, როგორც გვეთხრეს, 500 მანეთამდე იყო.

ლ. ლევანიძე.

# ნარკვევი

შაფროვის მოღვაწეობამ მთელი რუსეთი აალაპარაკა. შაფროვის მოღვაწეობა ქრთამის აღებაა. შაფროვის ქრთამი იმდენად იზრდებოდა, რამდენადაც ჩინები და ორდენები ემატებოდა. შაფროვი პირველად უბრალო პოლიციელის თანამდებობას ასრულებდა, მერე თანდათან ამაღლდა, გაპრისტავდა და ბოლოს კიდეც გაპოლიცმეისტერდა. შაფროვი კრონშტადტის პოლიცმეისტერი გახლდათ. აბა, ახლა ვისი შეეშინდებოდა, იღო და იღო ქრთამები. მაგრამ სიმართლის დამალვა რუსეთშიაც ვეღარ შესძლეს და შაფროვი პასუხის გებაში მისცეს. ჯერაც არ დასრულებულა საქმის გამოძიება. ამის შესახებ აი რასა სწერს „Кiев. Газета“.

„შაფროვი, პოლიცმეისტერი არა რომელიმე მივარდნილი ქალაქის, არამედ კრონშტადტისა, იღებდა და იღებდა ქრთამს. ქრთამს აძლევდნენ არა მარტო ქალაქის მცხოვრებლები, არამედ პოლიციის მოსამსახურენიც. უქრთამოდ არც ერთ პოლიციელს, არც ერთ პრისტავს არ შეეძლო სამსახურში დადგომა.

შაფროვმა მოღვაწეობა ჯერ მოსკოვში დაიწყო, მერე პეტერბურგს გადავიდა და ბოლოს კრონშტადტში დაასრულა თავის „საქმენი საგმირონი“. მოსკოვის ობერ პოლიცმეისტერს, განსვენებულს ვლასოვსკის, ძლიერ ეჯავრებოდა შაფროვი; ვლასოვსკიმ გაიგო, ვისთან ჰქონდა საქმე. მან „პირველი მოქრთამე“ უწოდა, მაგრამ მაინც სინიდისიერ ვლასოვსკის სამსახურიდგან მაინც არ დაუთხოვნია შაფროვი; შაფროვი მხოლოდ გადაიყვანეს მოსკოვიდან პეტერბურგში. ასე იყო თუ ისე, შაფროვის მოქრთამეობა მოსკოვში გამომჟღავნდა და გამოჭყვნდა. მოსკოვის მცხოვრებლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. „პირველი მოქრთამე“ განაძევეს მოსკოვიდან. შაფროვმა პეტერბურგშიაც არხეინად განაგრძო ქრთამის აღება; აქაც უფრო დიდი ქრთამი დასჭირდა მცხოვრებლებს. შაფროვს მოქრთამეობა აქაც შეუტეს. იმის ნაცვლად რომ დაესაჯათ კრონშტადტის პოლიციის უფროსად დაჰნიშნეს. კრონშტადტელები შესწუხდნენ, აშფოთდნენ,—თვით ჟანდარმთა მართველობაც-კი შესწუხდა შაფროვის პოლიცმეისტერად დანიშვნით, მაგრამ მაინც დიდხანს გაგრძელდა „პირველ მოქრთამის“ მოღვაწეობა. ასეთმა მოქრთამემ, როგორ შეიჩინა აქამდე ასეთი დიდი თანამდებობა, როგორიც პოლიცმეისტერობაა?

აი, რამ დააფიქრა რუსეთის მწერლობა, საზოგადოება განცვიფრებულა: როგორ მოხდა უფლელი ესე, როგორ აგვიხსნა ასეთი საიდუმლოება?“

# წერილები
## რედაქციის მიმართ.

(პასუხად ბ-ნს ქვემო-ქიზიყის ექიმს).

პასუხსა მოხოვთ (№ 17) და აი, ინებეთ, ბატონო. ნათქვამია ძველთაგან და ბრძენთაგან: „მალვით მოლალატე—მალვითა სცემდნო“, და პასუხსაც მშვენიერად ასრულებს ამ თქმულებას ქვეყანაზედ თავისდა სასახელოდ და ქვეყნის მავნე-ქვემძრომთა სავაგლახოდ. რომლისაც პრესისაგან გატყორცნილი შხამ-გესლიანი ისარი ქვეყნის მავნე-მაზნეებარ ბოროტებას გულს უმიზნავს, მარადი-მსაჯულებისაც მარტო ეს უნდა და არა ამ პიროვნების ნათლობის სახელი: ოლია ჰქვიან თუ ჩოლია. სამთავან სამების ძლიერ მალვით-ფარვით შემდგარ „პრიგოვორის“ ავტორნი, მგონი, თუ თქვენც დამეთანხმებით, ისე საგრძნობლად გავწვიპა სამართლიანის სიტყვით, რომ მის წაკითხვის უმალვე „მოხარშულ კინკარიათი ხაფუნჩნენ „პრიგოვორისტები“. „სწორედ გატყორცნილი ისარი გზას არ დაჰკარგავსო“, ამბობს სიბრძნე მდაბიო ხალხისა.

და რაც შეეხება „პრიგოვორისტების“ სახელ-გვარების გამომჟღავნებას თქვენის „ცნობის-მოყვარეობის“ დასაკმაყოფილებლად, მხოლოდ მაშინ აგისრულებთ ამ თხოვნას, როდესაც იმ სასაცილო „პრიგოვორის“ ავტორნი ვაჟკაცურად გამოძვრებიან ქვემძრომელა ვერაგების უჩინმაჩინო სამალულებიდამ და იმავე მიკიტნებთან, რომელნიც მალვით შემდგარ „პრიგოვორს“ სიხარულით ხელს აწერდენ, საჯაროდ მეტყვიან: გამოამჟღავნე ჩვენი სახელ-გვარებიც შორეულთათვისაც გასაგებად, რადგანაც ჩვენი საარაკო საზიზღრობა, რომელიც ფონს ვერ გავიდა და ნაპირშივე დაიხრჩო, სწორედ მაგ სასჯელის ღირსიც არისო. და უამისოდ-კი, ხომ მოგეხსენებათ რუსების გონივრული ანდაზა: не всякая пѣсня до конца допѣвается, не всякое слово въ строку пишется. და ამასთანავე ნურც ჩვენსას დავივიწყებთ, რომ „ქურდს თავზე ქუდი ეწვისო“, და სხვანი.

ქიზიყელი.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 თებერვალს

**პეტერბურგი.** 31 იანვარს იყო მეორე წარმოდგენა ერმიტაჟს, მათ უდიდებულესობათა თანა დასწრებით და ვახშამი.—1 თებერვალს იდღესასწაულეს ასი წლის თავი ქვრივთა სახლისა ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის თანადასწრებით.

**სოფია.** „ბოლგარიის სააგენტო“ იუწყება დამე პოლიციამ შეიპყრა ცონჩევი, მიხაილოვსკი, სტანიშევი და დანაშთენი წევრნი მაკედონიის სოფიელ კომიტეტისო.

**ნოვოროსიისკი.** გუბერნიის სამრევწველო სამეურნეო კომიტეტმა მიიღო დადგენილება შესახებ საყოველთაო სწავლისა, მიწების საკომლო მფლობელობისა, შესახებ გზების გაკეთებისა მთიანს ადგილებში, საგზაო კანონდებულებათა შემუშავებისა, საგზაო თანხისა, სამეურნეო საჭიროებათა სესხისა, მეურნეთაგან ამხანაგობათა შედგენის გაადვილებისა და ხელ შეწყობისა და სხვა-და-ხხვა ზომებისა ღვინის მრეწველობის გასაუმჯობესებლად.

**ვენა.** დიდით გარდაიცვალა ერცჰერცოგინია ელისაბედი.

**ასხაბადი.** „ზაკ. ობ.“ ლაპარაკობს შესახებ ასხაბადის მეშხედთან შეერთების საჭიროებას რკინის გზით. რუს-სპარსთა საქონლის გაცვლა-გამოცვლა 31 მილიონს უდრის. რუსეთიდგან სპარსეთს მიაქვთ 14 მილიონისა და სპარსეთიდგან რუსეთს 17 მილიონისა. რუს-სპარსთა ვაჭრობის დამაბრკოლებელ მიზეზად ითვლება უგზოობა და ევროპიელთა საქონლის ქიშპობა. გერმანია ხელს აწვდენს სპარსეთს მცირე აზიიდგან, ინგლისი შემოიჭრება ბელუჯისტანის რკინის გზით. საჭიროა, რუსებმაც გაიყვანონ გზა მეშხედამდე.

**სოფია.** ბოლგარიის მთავრობამ გადასწყვიტა, დაითხოვოს მაკედონელთა კომიტეტები, რომელნიც არსებობენ ბოლგარიაში და მაკედონიის მიჯნაზედ დააყენოს ძლიერი გუშაგი. მთავრობა ამ გზას დაადგა, რომ დაანახვოს ყველას, მზად ვარ შევასრულო საერთაშორისო მოვალეობანიო და არა იმიტომ, ვითომ ოსმალეთის მოთხოვნილებას ვასრულებდეთ, რადგან ამასთანა მოთხოვნილება არც უოფილა ოსმალეთის მხრით.

**ვაშინგტონი.** გერმანიისა და ვენესუელის ოქმს ხელი მოაწერეს შტერნბურგმა და ბოუენმა თითქმის ერთსა და იმავე დროს ინგლისსა და იტალიასთან.

**სტამბოლი.** ინგლისის გაზეთების მიერ ჯარის საომრად მოწყობისა ტყუილია. ილდიზ-კიოსკის უმაღლესმა საინსპექტორო კომისიამ გადასწყვიტა, მცირე ზომეი, ან მიჯნებზედ დააყენოს ჯარი მშვიდობიანი დროის უაიდაზედ. გარდა კომისიამ გახიხილა და მოამზადა უჩვეულებრივო ზომები სხვა-და-სხვა შემთხვევათათვის.

**ათინა.** ბერძენთა მთავრობას აქვს დამამტკიცებელი საბუთები, რომ მაკედონიის კომიტეტის აგენტები სცდილობენ საბერძნეთში მცხოვრებ მაკედონელთა გაყვანას.

**პრეტორია.** იუწყებიან, მთავრობამ წინადადება მისცა ბოტას, დელარეის და სმუტს, ადგილი დაიჭირონ განზრახულ კანონმდებლობის საბჭოში.

2 თებერვალი.

**მელილია.** ტახტის მაძიებელი შევარდა ფეცში, სადაც ერთ საათამდე დარჩა. მეორე დღეს მოხდა ბრძოლა, რომელშიაც ვითომ სულთანის ჯარი დამარცხებულა და უკან დაუწევია.

**ლოძი.** ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოება აგებს შენობას სულით ავადმყოფთათვის. გადადებულია 100,000 მანეთი.

**ტანჟერი.** მეამბოხენი დამარცხდნენ. ბუხამარა დაიხრჩო მდინარე ნსებუში. სამხედრო მინისტრი დიდძალი ჯარით წავა პაზს მეამბოხეთა დასასჯელად.

**სტამბოლი.** სულთანმა სადარბაზოდ მიიღო სომეხ-გრიგორიანთა პატრიარქი ორმანიანი. სულთანმა მწუხარება განაცხადა, რომ მოკვლას უპირებდნენ ორმანიანს.

**სოფია.** სახელმწიფო საგანგებო სასამართლომ დაიწყო გარჩევა საქმისა კაბინეტის მინისტრად ნამყოფ ტოდოროვისა და ივანჩოვისა, რომელთაც კონსტიტუციის დარღვევა ბრალდებათ.

**სოფია.** მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, დამით დაიხურა მაკედონელთა ყველა კომიტეტები. კითხვაზედ, მართლა მთავრობამ მოახდინა ასეთი განკარგულებაო, მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, სამინისტრომ გადასწყვიტა შეუბრალებლად სდევნოს მაკედონელთა კომიტეტები, რომელნიც მოქმედობენ ბოლგარიის ტერიტორიაშიო.

**სლავიანსკი.** სლავიანსკთა ქალაქის საბჭომ ადგილობრივ მინერალურ წყლების დირექტორად აირჩია პროფ. ზალესსკი.

**პოლტავა.** ლუბენის საერობო კრებამ დაადგინა, მაზრაში გააბას ტელეფონის მავთულები.

**პეტერბურგი.** „საეკლ. უწყ“. დაბეჭდილია მოქმედება უწ. სინოდისა, რომელსაც გამოურკვევია სასწაულები, რომელიც ხდებოდა მამა სერაფიმ საროვსკის ლოცვით და დაუდგენია მოხუცი სერაფიმი ჩაირიცხოს წმიდათა შორის და დასვენოს საგანგებოდ მომზადებულ მის უდიდებულესობისგან აკლდამაში. უწ. სინოდის უქვეშევრდომილეს მოხსენაზე ამის გამო ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დაეწერა: „წავიკითხე დიდის სიხარულით“.

3 თებერვალი

**პორტ-ოფ-სპეინი.** ვენეცუელის წყლებში მდგომ მოკავშირე სახელმწიფოთა ესკადრების უფროსებმა ალყა აჰყარეს.

**მადრიდი.** ტანჟერიდგან მოსული დეპეშები არ ამტკიცებენ ტახტის მაძიებლის ვითომ და უკან დახევას.—მანილიის მიდამოებში ბრძოლა მოუხდათ ტახტის მაძიებლის მომხრე და მის წინააღმდეგ კაბილებს.

**დონის-როსტოვი.** ვლადიკავკაზის რკინის გზაზედ, სარეპტაში, მატარებელი გადავარდა თხრილში, გაჭყლიტა ინჟენ. გორბენკო, მემანქანეს დაამტვრია ორივ ფეხები და კანტორაში მოსამსახურე ორთქლში დაფუფქა.

**ხარკოვი.** აკურთხეს სახალხო სახლი.

**ვლადიმირი.** სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის კომიტეტმა საჭიროდ სცნო საყოველთაო განათლების შემოღება პირველ-დაწყებით სასწავლებლების, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების გავრცელებით, რუსული სწორ-წერის გაადვილებით, სასოფლო-სამეურნეო სკოლების, კურსების და სააგრონომიო აკადემიის დაარსებით, სახალხო კრედიტის დაწესებით და სოფლის მემამულეთა კრებების მოწყობით.

**სტამბოლი.** პორტამ გამოაცხადა, რომ ინგლისის მოთხოვნილებე იემენის და ადენის ადგილების განსაზღვრის შესახებ დაკმაყოფილებათ. საერთო კომიტეტი ამ საქმეს კიდეც შეუდგა.

**სოფია.** ხმა დადის, ვითომ მთავრობას ბრძანება გაეცია იანქოვისა და ნიკოლოვის შეპყრობის შესახებ. სარაფოვი, ნოვეჩევი და დანილოვი არ სჩანდნენ, თორემ უეჭველად დააპატიმრებდნენო. როგორც ისმის, მათ ჰბრალდებათ სომხების შეკრება,

**პეტერბურგი.** გუშინდელი ცნობის შესავსებად, დიდებული გახსნა ნეტარის სერაფიმის გვამისა მიენდო პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტს უსამღვდელოესს ანტონის, უსამღვდელოესთა ტამბოვისა და ნიჟეგოროდის მიტროპოლიტებთან ერთად.

**პეტერბურგის ბირჟა,** 31 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,42½ |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში ,, | 46,27½ |
| პარიჟში ,, | 37,70 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98⅛ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100¾ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95 მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 455 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 365 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 306¾ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 90¾ წვ. გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 91 წვ. გაყ. |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 397 წვ. გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 197 წვ. გაყ. |

**სასამართლოს შესახები ცნობანი.**

8 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1) დავა ვ. კალანდარაშვილისა და ვ. კარელიშვილისა.
2) დავა ი. ოთარიძისა და ი. მღებროვისა.
3) თ-დ პ. დადიანისა, ლ. აფაქიძისა და ტოლორდავებისა.
4) დავა ე. კოლუაშვილისა და ლ. კაპანაძისა.
5) დავა ბ. ტოლორდავასი და თ. პ. დადიანისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლების**

**15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდგან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).


# განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

**აბრეშუმის ჭიის თესლი**

## ძმათა პასხალიდთა.

ამ თვის გასვლამდე ამ ცნობილის ფირმის კომპანიონი პროფ. ლ. ბეზანოსი ჩამოვა ტფილისს და ჩამოხტება ვეტცელის სასტუმროში —მიხეილის პროსპ. წვრილ-წვრილად ყიდვა თესლისა შეიძლება კავკასიის საიმპერ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასა და მუშტაიდის საბრეშუმო სადგურში.

(8—7)

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

## გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

# ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პარტრეტით და ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა. 6—6.


## ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ-რა ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

**ჩემი ადრესი:**

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. обл. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.


საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и Ко
Парфюмерія
“Золотая Нива“


Дозволено цензурою. Тифлисъ. 3 февраля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.